

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



### მოწვევა სატენდერო წინადადების წარდგენაზე

საქართველო

### ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი

## სამტრედიის მუნიციპალიტეტში ეწერის თემში ბაძგნარის უბანში რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან სოფ. იანეთის ცენტრალურ გზამდე გზის რეაბილიტაცია

კონტრაქტის/ტენდერის #: EIB/MIMP/W/NCB/20-2016

საქართველომ მიიღო ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან (EIB) დაფინანსება ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (URDP) განსახორციელებლად და განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის: სამტრედიის მუნიციპალიტეტში ეწერის თემში ბაძგნარის უბანში რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან სოფ. იანეთის ცენტრალურ გზამდე გზის რეაბილიტაცია

პროექტი ითვალისწინებს ეწერის თემში ბაძგნარის უბანში რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან სოფ. იანეთის ცენტრალურ გზამდე გზის რეაბილიტაციას სიგრძით 4,570.00 მ., ორფენიანი ა/ბეტონის (5+4) საფარის მოწყობას, სავალი ნაწილის სიგანე - 5.00 მ.

### ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მოცულობებია:

1. ფრაქციული ღორღი 23,326.00 კვ.მ;
2. ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი 1,450.00 კვ.მ;
3. მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევი 22,850.00 კვ.მ;
4. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევი 22,850.00 კვ.მ;
5. რკ.ბეტონის კიუვეტი 3.47 კვ.მ.

სამუშაოების ხანგრძლივობაა 8 (რვა) თვე სამუშაოების დაწყებიდან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნათა შორის არის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

ა) კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა დაანგარიშებული მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ერთობლივი დადასტურებული გადახდებიდან, ბოლო სამი (3) წლის (2013, 2014, 2015წწ.) განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 1,600,000.00 ლარის ექვივალენტი;

ბ) კონკურსანტის წლიური შესაძლებლობა უნდა იყოს არანაკლებ 1,000,000.00 ლარის ექვივალენტი;

გ) კონკურსანტმა უნდა დაადასტუროს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა არანაკლებ **260,000.00** ლარის ექვივალენტზე;

დ) კონკურსანტს, 2011 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე, წარმატებულად უნდა ჰქონდეს დასრულებული სულ მცირე ერთი (1) **ასფალტო-ბეტონის გზების რეაბილიტაციის/მშენებლობის კონტრაქტი** არანაკლებ **830,000** ლარის ექვივალენტის ღირებულებით, ან 2 (ორი) კონტრაქტი, თითოეული ღირებულებით სულ მცირე **415,000** ლარის ექვივალენტი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს განახორციელონ **სამტრედიის მუნიციპალიტეტში ეწერის თემში ბაძგნარის უბანში რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან სოფ. იანეთის ცენტრალურ გზამდე გზის რეაბილიტაცია.**

ტენდერი ტარდება „ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის“ (National Competitive Bidding) პროცედურების შესაბამისად ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელოს 3.4.1 პუნქტის შესაბამისად და დონორის გადაწყვეტილებით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვისათვის გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაცია და მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურები ეროვნული საკონკურსო ვაჭრობისათვის.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია ვადით: 1 (ერთი) წელი სატენდერო წინადადებების გახსნის დღიდან.